# სამშობლო

ოთხშაბათი

23 სექტემბერი.

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და დარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან

№ 182 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 182

ტელეფონი № 76.


„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ს ა მ შ ო ბ ლ ო“
— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



გადადებული 15 ივლისიდან, ნახევარი წლის თავის წირვა და პანაშვიდი ომში მოკლულის პოდპოლკოვნიკის

ვლადიმერ ტარასის ძის ახვლედიანის

სულის მოსახსენებლათ დანიშნულია ხუთშაბათს, 24 სექტემბერს, ლეჩხუმის მაზრაში სოფ. ნასპერს, ადგილობრივ ეკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მშობლები ტარასი გრიგოლის ძე და კესარია თომას ასული ახვლედიანები. 2—1—2049

ღრმათ დამწუხრებულნი ნოე, ფერშალი ექვთიმე, დები: პეპი და ეკა, რძალი კატო მიქელაძე ორბეთლიძისა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 27 ენკენისთვეს, შუხუთის მღვთის-მშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველის დაუვიწყარი დედის, ხოლო უკანასკნელის სიდედრის

მართა სარჯველაძის ასულის

სულის მოსახსენებლათ. 1—1

ღრმად დამწუხრებული ქირისუფალნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 26 სექტემბერს, ოზურგეთში, წმ. კვირიკეს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

გიორგი ალექსის ძე ანდღულაძის

სულის მოსახსენებლათ.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა
გასასყიდათ თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა
სამსონ დათეშიძის ქართული დედანისადა სამხატვრო ნიმუშებისა.

ქ. ქუთაისში ექიმი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
სერაფიონ მ. დადუნაშვილი
ღებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.
ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

ქ. ქუთაისი.
ექიმი ქალი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა
ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. ც საღ. 5—6 ს.
ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ. 975

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ლექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძის სახლი. თ

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
კვირას, 20 სექტემბრიდან, ახალი საუცხოვო პროგრამა.
ისპანიის მიდამოების სანახაობა.
მილიონების მიპნოზის ქვეშ
ოთხ ნაწ., მეხუთე და მეექვსე სერიის გაგრძელება. ფრიად საგულისხმო სერიები.
კომიკური სურათი. ერთი ორისათვის კომიკური სურათი.

ანონსი: ამ დღეებში ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი ნორდისკისა:
ტაბორის ქალიშვილი—თავისუფლების ბავშვი.
მხატვრული დრამა სამ ნაწილათ ნათამაშევი ევა ტამსონის მონაწილეობით.

ამ მოკლე ხანში დაიწყება
სეზონი
ქართული წარმოდგენებისა,
(მ. 25 სეზონი)
დასში უმთავრესად იქნებიან ის პირნი, რომელთაც შარშანდელ ზამთრის სეზონში არ უმსახურნიათ. დასს მეთაურობს შალვა დადიანი.
დაწვრილებით შემდეგში. 2—2.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა
„რუსეთი“ („როსსია“),
სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.

ქუთაისისს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე
პატივისცემით აცხადებს, რომ 27 სექტემბერს ამა 1915 წელს, დილის 10 საათზედ, დანიშნული არის ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა
საგანგებო კრება
ამოსარჩევათ 8 ამომრჩევლების სახელმწიფო სათათბიროში და სხვა რამოდენიმე საყურადღებო კითხვების განსახილველათ. 6—2

მ. დუნდუას ქალთა სასწავლებელი მდგომარე 1915 წ. ენკენისთვიდან გადაკეთდა საშუალო კერძო პროფესიონალურ სასწავლებლათ, ოთხკლასიან პროგიმნაზიის კურსით. სასწავლებელში სრულიად მოუმზადებელი ბავშებიც მიიღებიან. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სწავლის ფასი ჩვეულებრივ: საანბანოსა და სხვა განყოფილებებში 20 მანეთი, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 25 მანეთი.
მოლაპარაკება დილის 9—2 საათამდი შეიძლება.
მისამართი: ბალახვანის ქუჩა, იოსებ ბაქრაძის სახლებში. თვ.

რუბანის ქუჩ., დიდი კაზარმების მახლობლათ
იყიდება
ოთხი თვალი აგურის შენობა
სამზარეულოთი და მოწყობილობით. ეზოზომით ასი ოთხკუთხი საჟენი. მოსალაპარაკებლათ შეიძლება მიმართოთ თეთრ ხიდთან ბათლომე მოსეშვილის ხეტყის საწყობში ა. 1—1


## ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

### კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 21 სექ. ზღვის ნაპირა რაიონში ოსმალები ჩვენს პოზიციებს ესროდენ. ჩვენმა მატორიანმა ნავმა ოსმალეთის იალქნიანი გემი დაანგრია. დანარჩენ ფრონტზე შეტაკებები არ ხდებოდა.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ოფიც. უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან. გუშინ, შუადღისას, დვინსთან, გერმანელებმა გრიგალისებური ცეცხლი დაუშინეს ჩვენი პოლკების ერთერთ უბანს სოფელ შვოვოს რაიონში რკინის გზისა და სვენტენის ტბის შუა. გერმანელების მხრიდან სხვილი კალიბრის ზარბაზნით ისროდენ ყუმბარებს. მათ რიცხვში იყო 8 დიუმიანი ზარბაზნებიც. გაძლიერებულ ცეცხლის მფარველობით მტერმა მედგრათ შემოგვიტია და ხელში ჩაიგდო ნაწილი ჩვენი თხრილებისა. ჩვენის მხრიდან ჩვენმა ჯარმა მძლავრად დაუშინა არტილერიის ცეცხლი მტრისაგან აღებულ თხრილებს და შემდეგ კონტრ-იერიშით წავიდა მათზე. ჩვენს შეტევას მტერმა ვერ გაუძლო და დიდი ზარალით უკან დაიხია, თხრილები ხელახლათ ჩვენ დავიკავეთ. მდინარე მაძიოლკის მრავალ ფონზე (მდ. დისენის ტოტი) სასტიკი ბრძოლაა გაჩაღებული.

სოფელი ბოროვნია (კოზიანის რაიონი) ბრძოლით ავიღეთ,—საიდანაც ტყვეები და ტყვიის მტყორცნელებელი წამოვიყვანეთ. სოფლებ ტელიაკიდან და კოზლიდან (სოფლებ კოზიან-პოსტავის შუა) გერმანელები მოგერებულ იქნენ ხიშტებით. მდ. იაგლიცის ზოგიერთ პუნქტე ჩვენი ჯარი მოხერხებულათ გადავიდა მდინარის დასავლეთის ნაპირზე ვიშნევსკის ტბის სამხრეთით.

ჩერენიც-სტახოვიცის რაიონში ზოგიერთი სოფლის აღების დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 300 მდი ჯანმთელი გერმანელი 5 ოფიცრით, მათ რიცხვში 19 არტილერიისტია ერთი ოფიცრით, პრიპიატიდან სმორგონამდე მდებარე ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. სტოხოდის შესართავთან მტერმა კიდამ დაიკავა სოფელი პოჟუკი, მაგრამ ენერგიული იერიშის მიტანით ამ სოფლიდან გავსდევნეთ მტერი. მტერი აგრეთვე განდევნილ იქმნა სოფელ კოსტიუხოვას ჩრდილოეთით მდებარე პოზიციებიდან. აქ ტყვეთ წამოყვანილ იქნა 200 კაცზე მეტი, ორი ტყვიის მტყორცნელი და ბარგი. მდ. სტრიზე (ამავე რაიონში) ჩვენი ჯარი მარჯვეთ გადავიდა მეორე ნაპირს და გასდევნა მტერი სოფ. ციმინიდან. ასევე მოხერხებულათ გადავიდა ჩვენი ჯარი მდინარეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფ. კოზლიანთან ჩარტორიისკის ქვემოთ.

შავ ზღვაზე ნაპირას მდგომი მატორიანი შხუნა ხელში ჩაიგდო ჩვენმა ჯარმა და მიიყვანეს ბათომში. სამხედრო მოხსენებებიდან სჩანს, რომ ტყვე გერმანელები, მიუხედავათ თავისი უფროსების გაფრთხილებისა და სხვა და სხვა სასჯელით დაშინებისა, ძალიან ხშირათ და აღელვებულათ იძლევიან ცნობებს ჯარის დაქანცვისა და ომის პოპულიარობის დაცემის შესახებ მათ შორის.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 20 სეკ. საღამოს ოფიციალური ცნობა. არტუაში, ჟივანშის ტყის სამხრეთით წინ წავიწიეთ და ხელში ჩავიგდეთ ამ რაიონში ერთი ბლოკგაუზი და თხრილები მტრისა. ბოფორისა და ბოშუარის მიდამოებში სომის სამხრეთით ძლიერი არტილერიის სროლა გრძელდებოდა. ასეთივე სროლა იყო შამპანსა და არგონებში მდებარე რაიონში გავაზეს ჩრდილოეთით. ვოგეზებში მტერი უნაყოფოთ შეეცადა ცხელი სითხის გამოშვებას ჩვენის თხრილებისაკენ. ვიოლოსთან მოხერხებულათ ავაფეთქეთ მტრის სანაღმო საწყობები. ჩვენმა მფრინავთა რაზმმა დილით ყუმბარები ესროლა სადგურს, რკინის გზის ხიდს და სამხედრო უწყების შენობებს ლიუქსენბურგში.

**გავრი.** 20 სეკ. ბელგიის ოფ. ცნობა. ბელგიის ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა გრძელდებოდა.

**რომი.** 20 სეკ. მთავარი ბინის ცნობა. მაღალი მთების მიდამოებში, სადაც ძლიერი ქარბუქი ბატონობს, ხშირი თოვლი ჩამოცვივდა. ლაგოსკურის ულელტეხილებზე დეჟენევის ხეობის პირთან და რამდზიოს ულელტეხილზე მარჯვე წვრილი შეტაკება გვქონდა მტერთან. ტოლმინოს სექტორში ჩვენმა ჯარმა მტრის იერიში მოიგერია, რომელი იერიშიც მომართული იყო ჩვენ მიერ ახლათ დაკავებულ პოზიციებისკენ, სანტამარიას მაღლობებზე. დანარჩენ ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მოხდარა.

**სოლუნი.** 20 სეკ. გუშინ მოვიდა ფრანგთა ჯარის რაზმი, რომელიც სერბიელების საშველათ არის გამოგზავნილი.

# ომის ამბები.

**ბაღდადისაკენ.**

როგორც დეპეშით გაზეთებს ატყობინებენ, ინგლისელების ლაშქარი ქ. ბაღდადისაკენ ენერგიულათ მიიწევს. ინგლისელები ოსმალთა ჯარს ჯავშნოსან ავტომობილებით აწვებიან და მდ. ტიგრზე მატორიანი ნავებით მოწინააღმდეგეთ გასაჭირში აგდებენ; ასე რომ უკანასკნელი ცნობებით ინგლისელებმა ქაზიზამდე უკვე მიაღწიეს, რომელიც ბაღდადიდან 100 ვერსის მოშორებით მდებარეობს.

**ვინტოვკები რუსეთისათვის.**

იაპონიაში ამ ჟამათ დიდძალი ვინტოვკები მზადდება რუსეთისათვის. იაპონიის სამხედრო იარაღის განყოფილების უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ ოსაკას არსენალს 200 კერძო ქარხანა მიაშველონ, სადაც ვინტოვკების პატარ-პატარა ნაწილებს დაამზადებენ, ხოლო ვინტოვკის მთავარი ნაწილი ზინის ქარხნებში უნდა დამზადდეს. ვინტოვკების საკმაო რიცხვი რომ დროზე დამზადდეს, ამისთვის ყველა ქარხნების მუშათა შტატი დიდათ გადიდდეს.

**ბულგარეთის ახალი ციხე სიმაგრეები.**

გაზეთებში აღნიშნულია, რომ ბულგარეთში მობილიზაცია სწორეთ იმ დროს გამოცხადდა, როცა ბულგარეთში შემდეგი ციხე სიმაგრეების აგება და მათი შეიარაღება—მოწყობა დაასრულეს; ის ციხეებია: კსანტი, გუმულჯინი, დედა აგაჩი, პაპასი და ჩიარი; გაამაგრეს აგრეთვე საზღვრის დასაცველი მთელი ხაზი-ფილიპოპოლ ნევროკოპი.

**მაკენზენის წინადადება.**

ფელდ მარშალი მაკენზენი აუცილებელ საჭიროებათ ცნობს, რომ ავსტრიის ჯარში ზოგი გენერალი ახლავე ადგილიდან გადააყენონ, რადგანაც გალიციაში ამ ბოლო დროს დამარცხება და გერმანელ ჯარის ლუცკსთან უკან დახევა სულ ამ გენერლების უნიჭობის ბრალია. ბევრი მათგანი იმპერატორ ფრანც იოსების გვარეულობიდან არის, რომელთა წინააღმდეგ მაკენზენი დიდ უკმაყოფილებას აცხადებს თურმე.

**სერბიის საზღვრებზე**

როგორც „უტრო როსია" გადმოგვცემს სერბიის საზღვრებზე ბულგარეთის ასი-ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი დგას. არტილერია კრუპის სისტემის ზარბაზნებით არის შეიარაღებული და თვითეულ ზარბაზანს ორ-ორი გერმანელი აფიცერი თან ახლავს.

**ვინდავა.**

ბალტიის მხრის ქალაქ—პორტში, ვინდავაში ნემცები დიდ წარმოების გაჩაღებას აპირებენ. გაზეთების გადმოცემით: ყოველგვარი ზომებია მიღებული, რომ ძველ ქარხნებში მუშაობა-წარმოება ისევ აღადგინონ. ზღვით შემოაქვთ საჭირო მანქანები, დაზგები, ხელსაწყო; მოვიდენ სპეციალისტი ინჟინრები, მანტიორები, ხელოსნები და მუშები. ბევრ ქარხანაში მუშაობა უკვე გაჩაღებულია: ამზადებენ სამხედრო მასალას. ამასთან ვინდავის ახლო გერმანელებს ნავთის წყაროები აღმოუჩენიათ. ბერლინიდან სპეციალისტები და მუშები მიიყვანეს და საჭირო სამზადისს შეუდგენ.

# ქრონიკა.

**რუსეთი.**

**არეულობა მოსკოვში.**

მოსკოვში 14 სექტ. მომხდარ არეულობის შესახებ მოსკოვის გრადონაჩალნიკი შემდეგ ცნობას იძლევა.

ქალაქში ხმები დადის, რომ ვითომ 14 სექტემბერს „სტრასტნოის" მოედანზე „გოროდოვოიმ" ვინმე ჯარისკაცი შეიპყრო, სცემა მას და ვითომ ის დაჭრა კიდეც. სიმართლის აღსადგენათ საჭიროთ მიმაჩნია გამოვაცხადო შემდეგი: 16 სექტემბერს ქუჩაში დააკავეს ვიღაც მთვრალი პირი, რომელსაც ჯარისკაცის „უპაგონო" ფარაჯა ეცვა და თავზე უკაკარდო რუსული ქუდი ეხურა. იგი დააკავეს ქუჩაში, რადგან ყვიროდა: „ჩამომეცალეთ, ჯავშნოსანი ავტომობილი მოდის, მთელი პოლიცია უნდა დავხვრიტოვო!"

როცა ეს მყვირალა მთვრალი კაცი საპოლიციო სამართველოში მიიყვანეს, იქ იცნეს, რომ იგი იყო ის ჯარისკაცი, სალდათი, როიელმაც 14 სექტემბერს თავისი საქციელით „სტრასტნოის" მოედანზე არეულობა გამოიწვია. ის არის 22 წლის გლეხი, გვარათ კუდელი, რომელიც მე-22 № სახლში მსახურათ ყოფილა. და ახლა, როგორც მეორე ხარისხის მოლაშქრე, მიწვეულ იყო ჯარში. როცა გამოკითხეს, მან განაცხადა, რომ ახლა ჯარში არ მსახურობს და არც სამსახურის რამ ნიშნებს ატარებს. 14 სექტემბერს იგი სარატოვის გუბერნიის ერთ-ერთ თავსაყარ პუნქტში, პეტროვსკში უნდა წასულიყო, მაგრამ სიმთვრალის გამო ველარ წავიდა; ამ დღეს იგი მთვრალი გავიდა „სტრასტნოის" მოედანზე, მერე იქ რა მოუვიდა, არაფერი არ ახსოვს. კუდელმა განაცხადა, რომ დაჭერის დროს მისთვის არავის არ უცემია; პირიქით, მან თვითონ სტაცა „გოროდოვოს" ხელი საკინძში და ყვირილი მორთო, რაზედაც ბრბო შეგროვდა.

ბრბომ დაინახა თუ არა, რომ კუდელი დაჭერილი მიჰყავდათ პოლიციელებს და ის კი, როგორც ჯარისკაცი მათ არ ნებდებოდა, უცბათ წარმოიდგინა, თითქო პოლიციელი ცემდა მას და იმიტომ ყვიროდა. ამ წარმოდგენით აღშფოთებული ბრბო პოლიციას ჩაერია და მისი ხელიდან კუდელი ძალით გაანთავისუფლა. მერე ვითომდა დამნაშავე „გოროდოვიმ" იქვე ქუჩაში გასამართლება და დასჯა თვითონვე მოინდომა. ცრუ ხმა, ვითომ პოლიცია ჯარისკაცებს სცემსო, ქუჩიდან ქუჩაზე გადავიდა და ელვის სისწრაფით გავრცელდა, ამიტომ ტვერის შესართავ ქუჩებში უკმაყოფილო და აღშფოთებული ბრბოები შეგროვდა, და პოლიციას ქვები დაუშინა, მერე პუშკინის ძეგლთან ტრამვაის ვაგონი გააჩერეს და მის გარშემო ბულვარის საჯდომ სკამების საშუალებით მთელი ბარიკადა ააგეს. პოლიციის უფროსების და აფიცრების არავითარმა რჩევა-დარიგება მათზე არ გასჭრა: ბრბომ პოლიციის წინააღმდეგ, რაც კი შეეძლო არაფერი არ დაზოგა, რასაც შედეგათ 4 აფიცრის 4 უბნის ზედამხედველის და 25 გოროდოვოის დაჭრა მოჰყვა. ამიტომ პოლიცია იძულებული გახდა მათ წინააღმდეგ იარაღი ეხმარა და ისე გაეფანტა ხალხი. ამას თავის მხრივ სამწუხარო შედეგი მოჰყვა ხალხიდან მოკვდა 3 და დაიჭრა 12 საქმის გამოძიება სწარმოებს. (დ. სმგ.)

**„შავების" დელეგაცია.**

ოპოზიციის დელეგაციის არ მიღების შემდეგ „შავებს" აღეძრათ აზრი, რომ დელეგაცია მათაც გაეგზავნათ ეს აზრი სახელმწიფო საბჭოს წევრს მასოლოვს ეკუთვნის, რისაც ორივე პალატის მემარჯვენეები თანაუგრძნობენ თურმე. ეს „შავებს" თ. ლვოვის მოხსენების გასაბათილებლათ უნდათ. ამის ინიციატივას კურსკის ერობის „შავები" ასრულებენ რომლებიც მონარქიულ პრინციპების უკეთეს გამომხატველებათ ითვლებიან. დელეგაციაში მონაწილეობას მიიღებს გრაფი შერემეტიევი, როგორც მოსკოვის ერობის მოღვაწეთა წარმომადგენელი, რომელმაც მოსკოვის სიეზდზე საერთო რეზოლიუციის წინააღმდეგ კერძო აზრი წარადგინა.

როგორც ამბობენ ლვოვის დელეგაცია 20 სექტემბერს უნდა მიიღოთ.

**ქაღალდის ხურდა ფული.**

როგორც პეტროგრადიდან იუწყებიან ფინანსთა კომიტეტში პროექტი უნდა განიხილონ, რომლის, თანახმათ განზრახულია 5,10,15 და 20 კაპიკიანი განსაკუთრებული ქაღალდის ხურდა ფული გამოუშვან. ფინანსთა მინისტრის აზრით ასეთი ფული სულ უნდა გამოვიდეს 100 მილ. მანეთისა.

რადგან ამ ქაღალდის ხურდა ფულის დამზადება დროს მოითხოვს, ამიტომ მის მაგიერობა საიუბილეო ფოსტის მარკამ უნდა გასწიოს, რომელსაც მეორე გვერდზე ასეთი ზედ წარწერა ექნება: „ვერცხლის ფულის ღირსება—მნიშვნელობა აქვს".

**უცხოეთი.**

**რესტავრაცია ჩინეთში.**

თუ რამდენათ [illegible] ცვლილებას ჩინეთის [illegible] პრეზიდენტი, იუანშიკაი, ეს შემდეგი მისი განცხადებიდან სჩანს.

პეკინში ამ ზაფხულზე მუშაობა დაიწყო კომისიამ, რომელსაც ჩინეთის რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია უნდა შეემუშავებია. ამავე დროს ჩინეთის წარმომადგენლებსაც, რომ მათ კონსტიტუციის თავ-თავიანთი პროექტი წარმოედგინათ.

არ დაუყუნებ და მარილაც პროვინციებიდან, განსაკუთრებით სამხედრო პარტიის მეთაურობით იწყეს პროექტების წარმოდგენა, რომლითაც მონარქიული რეჟიმის აღდგენას ითხოვდნენ.

აშკარა იყო, რომ ყველაფერი ეს იუანშიკაის თანხმობით და შეიძლება ჩაგონებითაც ხდებოდა; ამიტომ იუანშიკაიმ იმ მიზნით, რომ ეს შთაბეჭდილება გაექრო, ვითომ ის რესპუბლიკის წინააღმდეგ არ მიდის, შემდეგი გასამართლებელი წერილით მიმართა სახელმწიფო საბჭოს:

„ოთხმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ხალხმა რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობა დამაკისრა. ამ ხნის განმავლობაში სულ იმის ფიქრში ვიყავ, რომ ერთი მძიმე მოვალეობა-დანიშნულებისათვის შეუსაბამო და უძლური არ აღმოვჩენილიყო მე შეუდექი საქმეს, მაგრამ იმავე დროს ეჭვი და ზრუნვი მოსვენებას არ მაძლევდა: როდის დადგებოდა ის დრო, როცა ნება მომეცემოდა, რომ ამ მძიმე მოვალეობისაგან თავი გამეთავისუფლებია. მაგრამ ვიდრე ამ პოსტზე ვარ, მანამ ჩემს უდიდეს დანიშნულებათ მიმაჩნია და პასუხისმგებელიც ვარ, რომ ხალხზე და ქვეყანაზე მუდმივათ ვზრუნავდე. უპირველეს ყოვლისა ჩემი ახლანდელი მოვალეობა, რესპუბლიკანური რეჟიმი დავიცვა. ამ ბოლო ხანებში ბევრი, ძალიან ბევრი მოქალაქე პროვინციებიდან სახელმწიფო საბჭოს თხოვდენ, რომ სახელმწიფო მართვა გამგეობის ფორმა შეიცვალოს. მაგრამ ეს ჩემს მდგომარეობასთან შეთანხმებული ვერ იქნება, როგორც პრეზიდენტის მდგომარეობასთან. მაგრამ ვინაიდან პრეზიდენტობა თვითონ ხალხის უფლებით არის მონიჭებული, ამიტომ მასვე აქვს ძალა და უფლება, რომ იგი ჩამოართვას და ქვეყნის სხვაგვარი მართვა-გამგეობა შემოიღოს. მაგრამ, რადგანაც ეს მთელი სისტემის შეცვლა იქნებოდა და რადგანაც ამ სისტემის სათავეში მე ვარ ჩამდგარი, ამიტომ იძულებული ვარ ჩემი კერძო შეხედულებაც გამოვთქვა ბ ამ სახით ჩემი თავიც საფრთხეში ჩავაგდო იმით, რომ შეიძლება ჩემი სიტყვები სხვა ფრივ

# რა გვიხსნის სიძვირისაგან.

II.

ჯერ ისევ 1914 წლის 14 აგვისტოს აღიმაღლა ხმა გერმანიის მუშათა პარტიამ, რომელიც კარგათ ხედავდა, თუ რას უქადდა ომი მცხოვრებთ, სხვათაშორის სანოვაგის გაძვირების მხრითაც. ამიტომ მან იმდღიდანვე წარუდგინა წინადადება გერმანიის კანცლერს და მოითხოვა, რომ სახელმწიფომ კანტროლი გაუწიოს სანოვაგის წარმოებას საჭიროებისამებრ მისი სეკვესტრიც წარმოების უფლების და ქონების (ჩამორთმევა კერძო პირებისგან) მოახდინოს და ხალხის სანოვაგით დაკმაყოფილება მუნიციპალიზაციის საშუალებით მოაწყოს, ე. ი. ქალაქის და მაზრის თვითმართველობამ სანოვაგის დაგროვებაც იკისროს მისი მომხმარებელთა შორის დანაწილებაც.

ამის შემდეგ ნახევარმა წელიწადმა კიდევ განვლო და როცა მთავრობამ დაინახა, რომ მას არც ბუნება წყალობს: წლის მოსავალი ნაკლები შეიქნა, და მტრებმაც გერმანია „ალყა შემორტყმულ ქვეყნათ" გამოაცხადეს, მხოლოთ მაშინ მოვიდა გონს იგი და დემოკრატიისაგან ნაჩვენებ გზას დაადგა.

ჯერ 1915 წლის 1 თებერვლიდან „პურის მონოპოლია" შემოიღო და მერე 14—16 აგვისტოს, ომის წლის თავზე მეორე უფრო საყურადღებო ნაბიჯიც გადადგა. ხსენებულ დღეებში რეიხსტაგის კრებაზე კანცლერის მოადგილემ საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა თანახმაა მომხმარებელთა მასის მოთხოვნა დააკმაყოფილოს: იგი მზათაა მთელ იმპერიაში „სანოვაგის მუნიციპალიზაცია" დააწესოს. ეს მით უფრო შესაძლებელია განხორციელდეს, რომ ამის მაგვარი ზომები და ცდა გერმანიაში დღემდეც ბევრგან იხმარეს და კარგს ნაყოფიერ შედეგებსაც მიაღწიეს, მაგალითათ ბერლინში, როგორც ქალაქის გამგეობამ განაცხადა, 14 აგვისტოდან სანოვაგის—პურის, ხორცის, ქონის, კვერცხის და სელდის (ტარანის მაგვარი თევზია)—„კარტოჩკებით" (ბარათებით) ყიდვაა შემოღებული: თვითეულ ოჯახის სულის რაოდენობის მიხედვით ცოლევა უფლება იყიდოს მხოლოთ თავისი წილი „ულუფა"—კერძი. ამ ნაირათ ხალხი უკვე მიეჩვია ასეთ წესს და იგი მომზადებულია იმ რეფორმისათვის, რომლის შემოღებას ახლა მთავრობა ფიქრობს არა მარტო ბერლინში არამედ მთელ იმპერიაში. მთავრობის პლანი, როგორც „რუსკია ვედომოსტის" სტოკჰოლმელი კორესპონდენტი მ. ლურიე გადმოგვცემს, უკვე მოიწონა რეიხსტაგმა, რომელიც ერთი მხრით ამ საქმეში კანცლერზე, დელბრიუკზე, შორს წავიდა. დელბრიუკმა რეიხსტაგში დაახლოვებით შემდეგი სთქვა: „უკვე მიღებულ ზომების ისტორია გვიჩვენებს, რომ „ფასების განსაზღვრა" მარტო არასოდეს საკმაო არაა, რომ მცხოვრები არა თუ სიძვირისაგან იხსნა, არამედ საკმაო საზრდო მოუპოვოს მას. „განსაზღვრული ტაქსა" მხოლოთ ფასებს აწესრიგებს და არა ბაზარს. თუ ფასები ტაქსით მეტათ დიდია, მაშინ ასეთი ტაქსა უსარგებლოცაა და არევაც შეაქვს ბაზარზე; და თუ ფასები მეტათ ნაკლებია ნაჩვენები, იმ შემთხვევაში გამყიდველებს რომ ვკითხოთ, საქონელს ბაზარზე ველარ ვიშოვით. ამიტომ აქ სეკვესტრის შემოღება აუცილებელია." მაგრამ სეკვესტრი, დელბრიუკის აზრით, ტეხნიკური პირობების გამო ყოველგვარ საქონელზე არ ხერხდება. ასეთ საქონლათ, მაგალითათ, იგი მუშათა პარტიის წინააღმდეგ კარტოფილს ასახელებს. თითქო კარტოფილის სეკვესტრი მოუხერხებელი იყოს. რაც შეეხება სხვაგვარ საქონელს დელბრიუკი ამბობს: „განსაზღვრულ ფასების ტაქსით შეიძლება დავკმაყოფილდეთ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საქონლის წარმოებაც და ვაჭრობაც ერთი დიდი სინდიკატის ხელშია მომწყვდეული და მის ასავალ-დასავალს მხოლოთ ის განაგებს. აქ უკვე მზათაა ის ფორმა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, რომ საქონლის წარმოებასა და დანაწილებას ცენტრალისტურათ და განსაზღვრულ გეგმის თანახმათ ხელმძღვანელობა გავუწიოთ. ამ შემთხვევაში ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ამ ფორმას ის შინაარსი მივსცეთ, რასაც სახელმწიფო მოისურვებს და საჭიროთ სცნობს. ამნაირათ, მაგალითათ, კანცლერის სიტყვით, მოწყობილია გერმანიაში ჯერჯერობით კეროსინის (სხმარი ნავთის) საქმე. 1 სექტემბრიდან მთავრობის განკარგულებით კეროსინის სინდიკატი ამ საქონელს ქვეყნის იმ კუთხეებში გაგზავნის, სადაც დღემდე არც ელექტრონის, არც გაზის და არც სპირტის განათება შემოღებული არაა და მთავრობა ახლა ღებულობს ზომებს, რომ ასეთი წესით განათება ამ კუთხეებშიაც იქმნას მოწყობილი, რადგანაც ეს გაცილებით იაფათ ჯდება.

მაგრამ, სადაც ასეთი სინდიკალური საწარმოო ორგანიზაცია არაა, იქ კანცლერის აზრით საჭიროა თვითონ სახელმწიფო შეეცადოს შექმნას მსგავსი რამ.

ვაჭრები უნდა შეაერთოს ჯგუფ-ჯგუფათ სავაჭრო დარგის მიხედვით და ასეთი ორგანიზაციის შეკვრა **იძულებული** **უნდა გახადოს.** ყველა ასეთი იძულებითი სავაჭრო ორგანიზაციები სახელმწიფომ ადგილობრივ თვითმართველობის ზედამხედველობის და კანტროლის ქვეშ უნდა დააყენოს. ყოველ ქალაქში და ყოველი მაზრის რაიონში, სადაც სამაზრო თვითმართველობა უნდა მოქმედებდეს, განსაკუთრებული „საიმპერიო კომისია" უნდა შედგეს; ეს კომისია შემდგარი იქნება უპირველესათ მომხმარებელთა მასის წარმომადგენლებისაგან, შემდეგ მწარმოებელთა და ვაჭართა წარმომადგენლებიც შევლენ, აგრეთვე მონაწილეობას მიიღებენ მასში განსაკუთრებული სპეციალისტი ექსპერტებიც.

ამ „საიმპერიო კომისიის" უფლება და მოვალეობა იქნება გადასინჯოს ზემოხსენებულ სავაჭრო ორგანიზაციების მიერ წარმოებული სავაჭრო დავთრები, „ფაქტურები" და სხვა საბუთები, რომელთა მიხედვით უნდა გამოირკვიოს, თუ რამდენათ შეესაბამება საქონელზე დადებული ფასი მისივე „თვითღირებულებას"; ამას მიემატება ზომიერი, ჩვეულებრივი სარგებელიც და ისე დადგინდება საქონლის ფასი. ფასების სწორი, სამართლიანი ნორმისათვის საჭირო იქნება ვრცელი რაიონებისათვის შემუშავდეს განსაზღვრული მაქსიმალური ტაქსა და არა მინიმალური ადგილობრივი ვინაიდან ადგილობრივ მინიმალურ ტაქსას მხოლოთ შეუძლია ადგილობრივი რაიონი ბაზარს მოსწყვიტოს. თუ ვინიცობა ადგილობრივათ ფასები ისე აიწია, რომ ზომიერ სარგებელს გადააჭარბეს, ამ შემთხვევისთვის ადგილობრივ თვითმართველობას უფლება ექნება სავაჭრო საქონლის „სეკვესტრი" მოახდინოს: იძულებით ჩამოართვას კერძო ვაჭრებს საქონელი და თავის სასარგებლოთ ჰყიდოს მომხმარებლებზე.

დღემდე ეს უფლება გერმანიაში 23 ივლისის კანონის ძალით მხოლოთ ადმინისტრაციას ეძლეოდა, ახლა კი ასეთი უფლებით აღჭურვილი იქნება თვითონ ადგილობრივი თვითმართველობა, ე. ი. მომხმარებელთა ორგანიზაცია, თუ რასაკვირველია, ეს ადგილობრივი თვითმართველობა დემოკრატიულ პრინციპზეა აგებული. თვითმართველობის ასეთი უფლება-იძულებით საქონლის ჩამორთმევის (დაწესებულ ფასებში) უაღრესი და უმთავრესი საშუალებაა ფასების უზომოთ აწევის წინააღმდეგ და საზოგადოთ ყოველგვარ სპეკულიაციასთან საბრძოლველათ.

თვითმართველობის მხრით ვაჭართა კავშირების და ორგანიზაციის ზედამხედველობა და კანტროლობა საქმის წესიერ წასაყვანათ კიდევ არ კმარა. ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ ვაჭრების კავშირსა და თვითმართველობას შორის უთანხმოება ჩნდება; ამისთვის ადგილობრივ თვითმართველობას უნდა მიენიჭოს ის უფლება, რომ ძალით შეეძლოს მას „ყოველი სავაჭრო დარგის მონოპოლია" გამოაცხადოს ე. ი. მან თვითონ ჰყიდოს ის საქონელი, რომლის ფასები კერძო ვაჭრების ხელში გაცილებით მაღლა იწევენ და ამით მხმარებელთა მასის უკმაყოფილება გასაჭირს იწვევენ.

რეიხსტაგმა, როგორც წერილის თავში მოვიხსენიეთ, კანცლერის ეს გეგმა დიდათ მოიწონა და თავის მხრივ კიდევ უფრო შორს წავიდა იგი. მან უცვლელათ მიიღო და დაამტკიცა ს. დ. პარტიის რეზოლიუცია, რომლის თანხმათ უნდა დაარსდეს განსაკუთრებული სანოვაგის საიმპერიო უწყება-სამინისტრო. ამ სამინისტროში არა მარტო შეერთებულ საბჭოს წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ქმნას გაგებული. ჩემი მოვალეობაა განვაცხადო, რომ ახლანდელი ფორმა შემდეგისათვისაც ძალაში დარჩეს და არ შეიცვალოს, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ იგი ჩინეთში დამკვიდრებულ ურთიერთობას სავსებით არ შეეფერება. აქედან ცვლილების მომთხოვნელ მოქალაქეთ უკეთურობას ვერ შევწამებთ. მათი სურვილია ქვეყნის სახელი და დიდება აამაღლონ. როცა დანამდვილებით გამოირკვევა, თუ რა სურს ხალხის უმრავლესობას, მაშინ გადაწყდება კიდეც ყოველივე, მით უფრო, რომ დღეს კონსტიტუცია კომისიის მიერ ქვეყნის ვითარება ურთიერთობასთან შეთანხმებით მუშავდება. აი ამაზე მივაქცევ თქვენს ყურადღებას, ბატონნო, სახელმწიფოს საბჭოს წევრნო!" (დ.)

## ქართული პრესა.

„საქართველოში" ბ. ქართლელი აჭარისა და საინგილოს მდგომარეობას ეხება და სარწმუნოების საკითხის შესახებ შემდეგს ამბობს:

რელიგიას იმ ხალხში უფრო აქვს გავლენა, რომელიც განათლების უმდაბლეს საფეხურზეა გაჯერა. ამ მხრივ მაჰმადიანი ფანატიზმი რელიგიურს ნიადაგზე მართლაც მიზანშეწონილია. საინგილოს გამაჰმადიანება ეს უკვე ერთგვარი შესისხლხორცება იყო ძველი საქართველოს საქრისტიანოს ერთი საუკეთესო მხრისა. არიან ჩვენში ისეთი გულუბრიყვილო პოლიტიკოსნი, რომელნიც ჰფიქრობენ ამა თუ იმ მხრის გადმოხრას ისევ რელიგიური საშუალებით. ამ ჟამად, როგორც ვიცით, აჭარაშიც და საინგილოშიც ქრისტიან მღვდლებს ერთი ამბავი აქვთ, მისიონერობას ეწევიან და ვერ ამჩნევენ, რომ ამ გვარი მოქმედებით მხოლოდ დიამეტრულად საწინააღმდეგო რეზულტატს აღწევენ. ჩვენ გვავიწყდება ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ დღევანდელ სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ინკვიზიცია და საშუალო საუკუნის ხერხი ამაოა ამა თუ იმ მხარის მოსაქცევად. შორს რო არ წავიდეთ, გავიხსენოთ ევლოგი და მის მოღვაწეობა „დაპყრობილ გალიციაში როგორც ზიზღსა და ანტიპატიას იწვევდა თვით იმ გალიციელთა შორის, რომელნიც სიხარულით ეგებებოდნენ რუსებს ლვოვში და პერემიშლში შესვლის დროს. თუ ეს ასე ითქმის გალიციაზე, მით უმეტეს ითქმის კულტურულად ჩამორჩენილ აჭარა-საინგილოზე. ჩვენ ვგმობთ ასეთს პოლიტიკას, ვგმობთ იმიტომ, რომ ასეთ საშუალებით ვაძულებთ ჩვენს თავს, ვაშინებთ, ვაფრთხობთ. ვისაც რამის გაკეთება სურს, ნუ მიჰმართავს რელიგიის ორპირ მახვილს, რაიც ვნების მეტს არას მოგვიტანს.

### ქუთაისი, 23 ეკენისთვე.

დღეს, თბილისში ჩამოდის მეფის მოადგილე კავკასიაში, მათი იმპერატორობითი უმაღლესობა, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. ძველი თფილისი, რომელიც ასი წლის განმავლობაში არა ერთხელ დახვედრია თავის ახალ მმართველებს, დღესაც იმ იმედით შეხვდება დიდ მთავარს—მეფის მოადგილეს, რომელი იმედიც მუდამ ბუნებრივია ახალი მმართველის დახვედრის დროს. აქამდის ამ იმედებს არც ერთხელ არ ღირსებიათ განხორციელება. კავკასიიდან წასული მეფის მოადგილეთ ნამყოფი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი იძულებული იყო ეთქვა, თავის გამოსათხოვარ სიტყვაში, მივდივარ ისე, რომ ჩემი მისწრაფებანი ვერ განვახორციელეო. ეს მისწრაფებანი კი მთავარ საკითხებს შეეხებოდნენ კავკასიის მოწყობისას. მათი განხორციელება საჭიროთ იყო ცნობილი ჯერ კიდევ ათი წლის წინეთ, და ეხლაც ათი წლის შემდეგ იმავ პირობებში იმყოფებიან. მას აქეთ კი საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი უფრო გაიზარდნენ და გაღრმავდნენ. მსოფლიო ომმა და მისგან აღიარებულმა პრინციპებმა სულ ახალი რიგის მოთხოვნილებანი წამოაყენეს და კავკასიის და კერძოთ ქართველი ერის მოწყობა უფრო მეტს და ჩაფიქრებულ მუშაობას მოითხოვს, ვხვდებით რა ასეთ პირობებში დიდ მთავარ—მეფის მოადგილეს, ჩვენ, უპირველესად, ვისურვებდით, რომ იგი დიდხანს დარჩენილიყოს ჩვენში მთელი მხარის სასარგებლოთ და აგრეთვე იმასაც, რომ ჟამს დასანანებელ გამოთხოვებისას ეთქვას: მე მივდივარ თქვენგან კმაყოფილი, რომ ყველა თქვენი სატკივარი გავკურნე და ყველა თქვენი საქმე გავაკეთეო!

---

...მადგენლები იქნებიან, არამედ მასში რეიხსტაგის რწმუნებულებიც მონაწილეობას მიიღებენ. ეს უწყება მთელ გერმანიაში მთავარი და ხელმძღვანელი დაწესებულება იქნება ყველა იმ სიქმეების, რომელიც ხალხის საზრდოების და გამოკვების საკითხს შეეხება. ყოველ გვარი სანოვაგის მთელი წარმოება ვაჭრების პროცესი მისი ხელმძღვანელობით უნდა შესრულდეს. იგი აღჭურვილი იქნება ყველა იმ უფლებით, რაიცა საჭიროა წესიერი ზედამხედველობისა, ხელმძღვანელობისა, სეკვესტრისა და მხმარებელთა შორის საქონლის წესიერათ განაწილებისათვის. მან უნდა დააწესოს ყოველ მასიურ სახმარ საგნებზე რიგიანი ფასები. ასეთია აზრი და პრინციპი ხსენებულ რეზოლიუციის, რომელიც რეიხსტაგმა ახლა მიიღო. და რომელიც მისგანვე მიმდინარე წლის მაისში უარყოფილ იქნა იმ მოსაზრებით, რომ ამას გერმანიის „კონსტიტუცია" არ „ჰგულისხმებს" მაგრამ, რამდენაცათ გამწვავდა გაჭიანურ ომი და ამის გამო გერმანიის ხალხი გასაჭირში ჩავარდა, აქედან რამდენათაც თვითონ ხალხმა ხმა აღამაღლა, იმდენათ გერმანიის მთავრობაც და რეიხსტაგიც დათმობის გზას დაადგენ და დღეს ს. დ. რეზოლიუციის „ორივე ხელით ხელს აწერენ."

ასე გადაწყდა პრინციპიალურათ სანოვაგის გაძვირების საკითხი გერმანიაში და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარებასაც არ დააყოვნებენ.

აქ მკითხველს უნებურათ რუსეთიც მოაგონდება და იკითხავს: ჩვენში რაღა იქნება, ჩვენ რაღა გვეშველება რა გვიხსნის ამ საშინელ სიძვირისაგან?

ამაზე შემდეგ. დიდი.

## ლეში და კუბო.

ყველაზედ დიდი კაცი ეხლა, ჩვენში, რომელზედაც მთელი პრესა ლაპარაკობს, ბ. დათიაშვილი არის. მან მოათავსა ყოვლად უმსგავსო წერილი „თანამედროვე აზრში", რომელიც მთელმა ქართულმა პრესამ დაჰგმო. „თანამედროვე აზრმა" ალბათ შეცდომათ ჩასთვალა ასეთი წერილის დაბეჭდვა და პირველში არაფრით არ გამოექომაგა დათიაშვილს. მაგრამ ბ. დათიაშვილის წერილი შემდეგ სომხურ და რუსულ გაზეთებმა გადაბეჭდეს და, რადგანაც არ არსებობს ისეთი უმსგავსობა, რომელსაც მომხრე არა ჰყავდეს, ბ. დათიაშვილი მადლობითაც კი მოიხსენიეს. „თანამედროვე აზრს" ალბათ ეს საკმაოთ ეჩვენა, რომ თავისი სიჩუმე ახალ შეცდომათ ჩაეთვალა და, სომხურ პრესის ტაშის კვრით გათამამებულმა, კვლავ გამოახტუნა თავის ფურცლებზედ ბ. დათიაშვილი. ვინ არის ბ. დათიაშვილი, მე არ ვიცი? მის შესახებ მხოლოდ ერთი რამ გადმოსცეს, მისმა მახლობლებმა, როდესაც „თანამედროვე აზრში" თანამშრომლების მხრივ საქმე ცუდათ წავიდა, ბურთი და მოედანი ბ. დათიაშვილს დარჩა და მკითხველ საზოგადოებას საკმაოდ მოაწყინა თავი. თავის აპუბლიცისტიკით აი, რა ვიცი, პირადათ მე ბ. დათიაშვილის შესახებ. მაგრამ სომეხ-გამოქცეულთა შესახებ დაბეჭდილ მის არამზადულ წერილის შემდეგ—ამ სიტყვას მე სრულის შეგნებით ვხმარობ—ბ. დათიაშვილის ბიოგრაფია ერთობ გაიზარდა და იმის გარდა, რომ იგი მე წარმოდგენილი მყავს, როგორც ბავში; რომელიც წამ და უწუმ ითხუპნება, შეუძლებელია აგრეთვე მისი სამწერლო მაგიდასთან დასმა, რადგანაც მას ხელობათ ჰქონია პატიოსან გაზეთის ხათაბალაში გაბმა.

ბ. დათიაშვილი ეხლა თავს მართლულობს, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, რა პირობებში. მისი წერილი, თითქმის ორი კვირაა, რაც დაიბეჭდა, იგი მთელმა ქართულმა პრესამ დაჰგმო. ამ ორი კვირის განმავლობაში არ ყოფილა დღე, რომ მისი საქციელისთვის პროვოკაცია არ ეწოდებინათ და ამ მინებს ბ. დათიაშვილი ითმენდა, სდუმდა ის, სდუმდა „თანამედროვე აზრიც". არ გამოჩნდა არც ერთი ქართველი მწერალი, რომელსაც მის საქომაგოთ ერთი სიტყვა მაინც დაეხარჯა. და ეს შეუძლებელიც იყო. ყველა ჩვენთაგანი გრძნობდა, რომ „თანამედროვე აზრს" უნებლიე შეცდომა მოუვიდა, როცა ბ. დათიაშვილის წერილი დაბეჭდა.

ბ. დათიაშვილი ქართულმა პრესამ სასაფლაოზედ გაიტანა და მის პუბლიცისტურ საფლავს ზედ წააწერა. „აქ განისვენებს ბრიყვი ადამიანი." მაგრამ სასაფლაოზედ მკვდარი გაცოცხლდა და „არევის," „კავკასკოე სლოვოს" და სხვა სომხურ გაზეთების თანხლებით ისევ დაუბრუნდა „თანამედროვე აზრს". ესე იგი დაბრუნდა მას შემდეგ რაც მთელმა ქართველმა საზოგადოებამ დაჰგმო და როცა სომხურმა პრესამ მოიწონა მისი საქციელი. ეს ისეთი შელახვაა ჟურნალისტის პატიოსნებისა რომ არც ერთი თავმოყვარე მწერალი არ იკადრებდა ამის ჩადენას. ბ. დათიაშვილს უნდა სცოდნოდა, რომ მიცვალებულებს ერთხელ ასაფლავებენ. მეორეთ კი მის ჩონჩხს ჯოხით ერეკებიან მაგრამ „თანამედროვე აზრი" ის მეკუბოე გამოდგა, რომელიც, რაც უფრო მეტჯერ დამარხავს ერთსა და იმავე მიცვალებულს, უფრო მეტ კუბოს გაასაღებს და ლეში და კუბო კვლავ ერთმანეთს შეხვდნენ.

ეხლა ქართველი საზოგადოება კვლავ ამ ლეშისა და კუბოს წინაშე სდგას. რის თქმა შეგვიძლიან მათ შესახებ? მე ვფიქრობ, რომ არსებითად არაფრის. ძრიან გადამდებ სენიანი მიცვალებულნი, რომელთაც ჭირისუფალნიც არ მისდევენ ხოლმე უკან. ასეთებისთვის სამარხი ბიუროები არსებობენ, სამარხი ბიურო ამ შემთხვევაში სომხური „არევი" და „კავკასკოე სლოვო" არის და დეე მათ წაიღონ სასაფლაოზედ ეს ლეშიც და ეს კუბოც.

შ. ამირეჯიბი.

## ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

ახლად შემდგარმა ქუთ. დრ. დასის ამხანაგობამ ბ. ი. გედევანიშვილისაგან ნებართვა მიიღო მისი პიესის „სინათლის" დადგმისა და ამხანაგობაც შეუდგა სათანადო მზადებას.

✦ ვარლამ ქორქოლაძემ, სადგურ ხრესილში („სერნია ვოდი") 10 ვაგონი სიმინდი მიიტანა, რომელსაც ფუთს 18 შაურათ ყიდის.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში, ყურძენი ძლიერ ცოტა შემოდის. ფუთი ოთხ მანათათ ფასობს.

✦ შაქრის ფასი ქალ. ქუთაისში. ჯანელიძესთან იყიდება გირვანქა დამტვრეული შაქრი 21 კ. თავ. შაქ. 19 ფხვნილი 18 კ. ეზიკოვთან თავი შაქარი 21 კ. ფხვნილი 18 კ. ბასილაია და კილასონიას თ. შ. 21 კ. ფხვნილი 18 კ. კაპანაძესთან თ. შ. 20 კ. დ. ქებაძესთან: თ. შ. 20 კ. ნატ. 23 კ. ფხვნილს 17 კ. საყურადღებოა ვიცოდეთ რითი აიხსნება ნიხრის ასეთი სხვა და სხვაობა.

✦ ივანოვის ქუჩის რწმუნებულმა არჩილ დალაქიშვილმა, თხოვნით მიმართა ქუთაისის გუბერნატორს იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, და უკვე დამტკიცებულ „პლატფორმაზე" საფიჩხიის ახლოს შეერონ ტყიბულის სამგზავრო მატარებელი. რწმუნებულმა ამას წინათ მოწერილობა მიიღო შეკრიბოს მცხოვრებლებისაგან 600 მან. „პლატფორმის" გასაკეთებლათ.

✦ ს. დიდ ჯიხაიშის საზოგადობაში 30 აგვისტოს, მეორეთ მოხდა მთელი საზოგადოების კრება. გადასაწყვეტი საგანი იყო უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის დაარსება. კრებას დაესწრო ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ვიშნევსკი, რომელმაც მოახსენა საზოგადოებას, რომ წელს ხაზინა ვერაფრით ვერ დაგეხმარებათ და თუ ყოველივე მოსალოდნელ ხარჯებს იკისრებთ მაშინ შეიძლება სკოლის დაარსება. საზოგადოებამ სურვილი განაცხადა, დაარსდეს სკოლა მის იმპერატორობითი უდიდებულესობის კავკასიის მეფის მოადგილის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სახელობაზე და და ყოველი ხარჯიც იკისრა.

✦ ჩვენი ნიჭიერი რეჟისორი ბ. შალვა დადიანი რომელიც მოწვეული იყო დრამატიულ საზოგადების მიერ უკვე შეუდგა საზამთრო სეზონის მოწყობას. სეზონი დაიწყება 1 ოქტომბრიდან და გასტანს 22 თებერვლამდი. საქმის მოსაწყობათ ამხანაგობასა, ჯერ-ჯერობით დრამატიული საზოგადოების გამგეობამ მისცა 600 მ. აღუთქვა შეძლებისამებრ სუბსიდიის მიცემა. და თეატრის შენობის დათმობა. დასში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი მსახიობნი: რეჟისორათ შალვა დადიანი, ქ-ნნი ეფემია მესხი, ელო ანდრონიკაშვილი, ბეჟანიშვილის ქალი, ლ. ლოლაბერიძის ასული, ვ. შოთაძის ასული, კავთელი და ლეჟავას ასული. ბ-ნნი: ყალაბეგაშვილი, კორიშელი, ზარდალიშვილი, მუხუსიძე, ბარველი, ხონელი, ჩაგუნავა, ქეიძე, საღელი, სუფლიორათ ვარვარიძე, სცენარიუსათ ა. გუგუშვილი. ამხანაგობა დროგამოშვებით მოიწვევს საგასტროლოთ გამოჩენილ ქართველ მსახიობთ.

✦ 21 სექტ ქალაქის საბჭომ დამტკიცა საკითხი ვაჟა-ფშაველას ძეგლის შესახებ და ამავე დღეს [illegible] ყ. ხ. სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის წინადადება, რათა ქალაქის გამგეობას მისი ხარჯით დაენიშნა საკუთარი [illegible] ქალაქის საავადმყოფოსათვის.

✦ ქუთაისის გუბერნატორი ატყობინებს მაზრის უფროსს შემდეგი შინაარსის დეპეშას, რომელიც მიიღო კავკასიის მეფის მოადგილესაგან. „მისმა იმპერატორობითი უმაღლესობამ მეფის მოადგილემ შემატყობინა თქვენამდი დ. ონის მცხოვრებ ებრაელების უქვეშევრდომილესი გრძნობის გამოცხადებისათვის მათი იმპერატორობითი უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და გამოუცხადა თვისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მადლობა. ამის შესახებ წინადადებას გაძლევ გამოუცხადოთ დ. ონში მცხოვრებ ებრაელებს. ეს დეპეშა პასუხია იმ ადრესისა, რომელიც მიართვეს დ. ონის ებრაელებმა ბ. გუბერნატორს 4 აგვისტოს იქ ყოფნის დროს.

✦ ქუთაისის ქალაქის თავი ი. მ. ჩიქოვანი გუშინ დილით გაემგზავრა თბილისს მისი იმპერატორობითი უმაღლესობის კავკასიის მეფის მოადგილის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის შესახვედრათ.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობის ყოფილ წევრს სიმონ ქვარიანს 21 სექტ. ქალაქის საბჭომ დამატებითი ხარჯთაღრიცხვიდან გადაუწყვიტა 3150 მ., რომელიც მიეცემა ჯამაგირის სახით.

✦ 21 სექტ. ქუთაისის ქალაქის საბჭომ, ბ. გუბერნატორის წინადადებით, ამოირჩია ხმოსანი ს. ი. ხეჩინოვი, იმ კომიტეტში, რომელიც მფარველობას უწევს ომში დაავადმყოფებულს და დასახიჩრებულ აფიცრებისა და ჯარის კაცების ბავშებს.

✦ 21 სექტემბერს ქალაქის საბჭომ ამოარჩია სახაზინო პალატის წინადადებით, ქუთაისის მაზრის სამხედრო სამმართველოში მონაწილეობის მისაღებათ ლონგინოზ ჩიმაკაძე და ვას. არდიშვილი. საგუბერნიო სამხედრო ბეგარის გადასახად სამართველოში—კი სერგო ბახტაძე და სიმონ ეზიკოვი.

✦ 21 სექტ. ქალაქს საბჭომ ბ. სახაზინო პალატის გამგის წინადადებით, ქუთაისის გუბ. უძრავი ქონების გადასახადის განმანაწილებელი კომისიაში დასასწრებლათ ამოირჩია:

ფილიპე მგალობლიშვილი ს. ლორთქიფანიძე და ალ. კრინიცკი. კანდიდატებათ: მ. ლალიძე ს. კალანდარიშვილი და ვ. ჭილაძე. და ქუთაისის ქალაქის უძრავ ქონებათა გადასახადის განმანაწილებელ კომისიაში: ბათ. მოსეშვილი, ალ. საყვარელიძე, ნ. ზარაბაძე, ლაზ ხმალაძე, ტრ. ჯაფარიძე, რ. მახარაძე და ი. ბოლქვაძე. კანდიდატებათ: არონ ელიგულაშვილი. ვლ. წერეთელი, ნ. რაფაელოვი, ნ. ჯანელიძე. და ბ. გაბუნია.

✦ მიხეილის საადგილმამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტსა და გამგეობის შეერთებულ სხდომაზე დაადგინეს ახლო მომავალში საქმის წარმოება შემოიღონ ქართულ ენაზე, მუშაობას შეუდგა სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან: კ. აბაშიძე, ს. ხუნდიძე და მ. ლალიძე.

✦ ზუგდიდის მაზრის საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების თათბირზე დაადგინეს: შემოტანილ იქნას ზუგდიდის მაზრისთვის ხუთი ათასი ფუთი იმერეთის ხორბლის სათესლე სიმინდი. კრებამ საჭიროთ დაინახა შემოტანილ იქნას 10000 ფ. საადრეო სიმინდის თესლი; დაარსდეს ზუგ. მაზრაში სოფლის მეურნეთაგან სამეურნეო საზოგადოება, და ეთხოვოს უგანათლებულეს თავადს მინგრელსკის დაუთმოს თავის ერთ ერთი სასახლე და ეზოს ნაწილი საშუალო სამეურნეო სასწავლებელს აგრეთვე კრებამ დაადგინა ეთხოვოს საერობო ორგანიზაციას დანიშნონ ზუგდიდში აგრონომები, ინსტრუქტორები სხვა და სხვა სპეციალისტები.

✦ ს. ბანძიდან გვწერენ: შანტაჟისტებმა გაიტაცეს ებრაელ ეფრემ ეჯიაშვილის ვაჟი მოშე. შანტაჟისტები სთხოვენ ბავშის მშობლებს ფულს გამოსახსნელათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებიან შვილის სიკვდილს.

---

**შეცდომის გასწორება:**

გუშინ ს. მ. წეველის ლექსში [illegible] დიდი კორექტურული [illegible]

პირველი ლექსის მე[illegible] დილია.

მომეც ტანჯვა იმდენია უნდა იყოს: მომეც ტანჯვა იმედიანი მეორე ლექსის მესამე სტრიქონში სხივთა კვალი უნდა იყოს სხივთა ავლი.

## გრძნეული პერანგები.

(მოთხრობა).

**კატულ მენდესისა.**

I

შორს ჩვენის ქვეყნიდან, სადღაც ღრუბელთა ზევით მდებარე მხარეში, იქ სადაც ჭაბუკი მეფე ამური სცხოვრობს, და სადაც მას გარს შემოხვევიან ჩვენ ცოდვილ ქვეყანაზე თავისის ერთგულებით სახელ განთქმული შეყვარებულნი, ის შეყვარებულნი, რომელთა ბაგენი მხოლოდ მაშინ შორდებოდენ ხოლმე ერთი მეორისას, რომ ემღერათ ჰიმნი ზე აღმტაც კოცნისათვის,—აღშფოთებული ხმები გავრცელდა.

მომაკვდავათა დაბა—ქალაქებიდან ახლად მოსულნი ამტკიცებდენ, რომ ოქროს ბზინვით თავსბრუ დასხმული ქალები იქ, დაბლა—დედამიწაზე უარსა ჰყოფენ წმინდა, უანგარო ალერსს და თავდავიწყებით ეძლევიან მარტოოდენ ვნებათა ღელვის დაკმაყოფილებასაო.

არამც თუ მოზრდილი ქალები, თვით უმანკო ცირებიც კი, მარტოდ მყოფნი თავის საწოლში, ვნებით მოსილსა და ანგარებით სავსე ოცნებას ეძლევიანო.

ამის გამგონე ამურმა ისეთი გულისტკივილი იგრძნო, როგორ გულის ტკივილსაც იგრძნობს ხოლმე კეთილი მმართველი ქვეყნისა, როდესაც მისი ქვეშევრდომნი შავი ჭირითა და ხოლერით ცელდებიან.

რაც შეეხება სამოთხის მცხოვრებთ, ისინიც კი ისეთნაირათ დაალონა ამ ახალმა ამბავმა, რომ ჯულიეტა ერთხანს განშორდა რომეოზს და მწარეთ აქვითინდა. ქიმენამ ერთი წუთით თვალი მოარიდა როდრიგას ამაყ თვალებს და პეტრარკას სამწუხაროდ ლაურას მშვენიერ ცის ფერ თვალებს მოულოდნელი რაღაც ღრუბელი გადაეფარა.

ამასობაში ჭაბუკმა მეფემ წაიდუდუნა: „შეუძლებელია, რომ ასეთი [illegible] მოსვლოდეთ მსოფლიოს შეყვარებულთ. ხშირათ კეთილ სინდისიერი მკვლევარიც კი სცდება ხოლმე, როდესაც თავის დასკვნას მხოლოდ გარეგან ნიშნებზე ამყარებს. კარგს ვიზამ, რომ მე თვითონ ჩავიდე ქვეყნათ და ხალხს თვალ ყური ვადევნოო". სთქვა რა ეს, ჭაბუკი-ღმერთი დაეშვა დედამიწისაკენ. მერე რა გზით? იგი ჩამოჰყვა მზის ერთ-ერთ სხივს, რომელიც მსოფლიოს მშვენიერ ბაღში ვარდ[illegible] კუკურის შორის დაციმციმებდა დაინახეს თუ არა კუკურებმა სიყვარულის ღმერთი,—ამური,—შეთრთოლდენ, შეირხნენ და თავისი ლამაზი გულმკერდი გადაშალეს.

II

ცოტა ხნის შემდეგ ერთ უდიდეს მოედანზე, მთელის სამყაროს უდიდესის ქალაქისა გამოჩნდა მდიდრულათ მორთული ეტლი. ერთის შეხედვით იგი თვალთმაქცსა ჰგავდა, რადგანაც შემდგარიყო ეტლზე, იქნევდა ხელებს და დაფ-წინწილაკების აღლერებით ქვეყნის ყურადღებას იპყრობდა, მაგრამ იგი არ ემსგავსებოდა ქუჩის ჯამბაზებს. თვალმარგალიტით მოქარგული ტანისამოსი მისი მზეზე ათას ფერად ბრჭყვიალებდა მშვენიერი და მოგრძო ხუჭუჭი თმა მისი ოქროს ფერად ბზინავდა.

თვალ წარმტაცი იყო ჭაბუკი იგი, ვით ელვა და მშვენიერი, ვით მთის ყვავილი!

ჭაბუკის ეტლი გაკეთებული იყო ძვირფასის საფირონისაგან და მოჭედილი იყო ალმასის ვარსკვლავებით. ამ ეტლს თავს დასტრიალებდა გუნდი თეთრის მტრედებისა. საოცნებოთ ჩაცმული მუსიკოსნი თავგამოდებით დაჰხაროდენ სამს სკივრს, რომლებშიც უძვირფასესი განძი უნდა ყოფილიყო. ოქრომკედით მორთულნი, თვალწარმტაც ზიზილებით აჭრელებული ახალგაზდანი ჭირვეულ მეფე-ქალის პირის ფარეშებს მოგაგონებდათ. ისეთი ლამაზები, ისეთი მშვენიერნი იყვნენ ეს მხლებელნი უცნაურის ჭაბუკისა, გეგონებოდათ სამოთხის ჩიტები არიანო.

თქმა აღარ უნდა, რომ ასეთმა სანახაობამ შეიპყრო, დაიმონავა გამვლელი თუ გამომვლელი. ყველა სახლებიდან გამოცვივნდენ ქალები. მოვაჭრე-ქალებმა მიატოვეს თავისი საქონელი,—კურტიზანკებმა—საპირისფარეშოები, თავადის ქალებმა—სასახლეები.

რაღაც მანქანებით გაიღო ყველა კარები დედათა მონასტრებისა და გარეთ გამოვიდნენ ცნობის მოყვარეობით აღელვებული მონოზნები. აღარც დედათა სასწავლებელში დარჩენილა ვინმე. ყველა დიდი თუ პატარა, დამწიფებული თუ მოზარდი ქალიშვილი პირდაღებული, განცვიფრებული შეჰყურებდა უცნაურ ჰაბუკს, რომელიც ღიმილით ეუბნებოდა ქალთა კრებულს.

— ჰოი, ქალებო, რომელთა თვალნიც ბრჭყვინავენ ვით ვარსკვლავი, რომელთა ღიმილიც უდრის ღიმილსა ყვავილისასა და რომელთა სინაზე მარტოოდენ მშვენებაა—ყური მათხოვეთ. მე აქ სავაჭროთა და ფულის მოსაგებათ არ მოვსულვარ, მე არა ვყიდი სხვა და სხვა ფერ-უმარილს, ან ხელსაცხებელს. სინორჩე თქვენი უნორჩესია გაზაფხულის ბალახისაზე და ამიტომ არც ნელსაცხებელი გეჭირვებათ! მე არ ვარიგებ არც შლიაპებსა, არც ძვირფასს ნივთებს და არც კაბებს. მაშ რისთვის მოვსულვარ? მე მინდა შეგთავაზოთ თქვენ უცნაური, თილისმიანი და გრძნეული პერანგები, ისეთი პერანგები, როგორსაც ვერ იშოვნით ვერც ერთ მაღაზიაში. ამ პერანგების საშუალებით თქვენ აგისრულდებათ ყოველივე წადილი, ტკბილი სიზმარი სიცხადეთ გადაგექცევათ და ოცნება შეისხავს ფრთებს. მე მაქვს სულ სამგვარი პერანგები. ერთნი—მსუბუქნი არიან, ვით ობობას ქსელი და ელვარებენ, ვით ოქროს ფირფიტა. მეორენი არიან ვარდის ფერისანი—იმ ფერისა, როგორი ფერისაც არის დარცხვენილი კდემომასილება.—მესამენი კი არიან დილის ცვარით დანაბულ ზამბახის ფერისანი. დიახ, მხოლოდ ამ სამ ფერ პერანგებსა ვყიდი, მაგრამ რომ არ მოვსტყუვდეთ და არჩევანი არ შეგეშალოთ, იმასაც გეტყვით, თუ რა თვისება აქვს თითოეულ მათგანს:

საღამოობით, იმ დროს, როცა მოელის თავისს საყვარელს, ვინც ჩაიცვამს ოქროსფერ პერანგს—ქონება და ფუფუნება არ მოაკლდება. რასაც კი მოისურვებს გაუმაძღარი გული ადამიანისა, ყველა შეუსრულდება. და დილით—როს ჯერ ისევ თვალებ-მოუფშვნეტავი საყვარელი ამ პერანგის პატრონ ქალისა—გაიპარება და ვნებით დამთვრალ ქალს გამოეღვიძება,—მაგიდაზე დახვდება გროვა ოქროს ფულებისა და კონა ბანკის ბილეთებისა.

ათასი მთრთოლავარე და გაუმაძღარი ხელი გაეწოდა თილისმის გამყიდველს.

ის კი განაგრძნობდა.

—ისინი კი რომლებიც ამოირჩევენ ვარდის ფერ პერანგებს სულ სხვა გვარ სიხარულს განიცდიან... არიან საიდუმლო ალერსნი, მოგონილნი ძალზე დახელოვნებულ საყვარლებისაგან, არიან ისეთი ცოდვანი, რომელთა შესახებაც ჩურჩულით მოუთხრობენ ხოლმე ეშმაკ მაცდურები. არც ერთი ეს სიამოვნება, არც ერთი ასეთი ჯოჯოხეთური ალერსი არ მოაკლდება იმ გამბედავ ქალებს, რომლებიც ამოარჩევენ—ჩვენ ვარდის ფერ პერანგებს. და როცა გრძნეულ ღამეწნათევი გამოეღვიძებათ—გრძნობათა გამღიზიანებელ სურნელებით და მოგონებით თავს ბრუ დასხმულნი თვალის გახელას ვეღარ გაბედვენ, რადგანაც შერცხვებათ მზის იმ სპეტაკ სხივისა, რომელიც მათ ფანჯარაში პირველად შეანათებს.

ჭაბუკმა იგრძნო მთელი გრიგალი გახურებულის ორთქლისა, რომელიც ამოხდა პირიდან მის სიტყვებით აღფრთოვანებულ დედაკაცებს.

ის კი ისევ განაგრძობდა.

—მაგრამ, რომ იცოდეთ რა მაღლა სდგას ღირსებანი „თეთრი პერანგებისა! აბა ყური დამიგდეთ. ამ პერანგის ჩაცმის შემდეგ თქვენ იგრძნობთ ძალას და ძლიერებას ჯანსაღისა და ბუნებრივის სიყვარულისა და გულის თქმა თქვენი იპოვის სამაგიერო თანაგრძნობას. ვერავითარი ბოროტება ვერ დაგძლევთ თქვენ, ვერავითარი ქენჯნა სინდისისა ვერ შეგაწუხებთ. თქვენ იქნებით ერთგულნი მეუღლენი ერთგული მიჯნურებისა. იმიტომ, რომ არ დაიკარგონ თქვენი ნდობა და სიყვარული—მიჯნურნი თქვენნი იქნებიან მარად კეთილნი, პატიოსანნი, თავდაჭერილნი, გულწრფელნი, კეთილის მყოფელნი. მართალია ისინი მეფურათ ვერ დაგაჯილდოვებენ, კოცნა მათი ისე ვერ ჩააქრობს ალსა თქვენის ტუჩების ცეცხლისასა. მაგრამ, სამაგიეროთ გრძნობას პატიოსანის სიყვარულისას თქვენ განიცდით მთელის თქვენის არსებით და ისეთი ფაქიზი და ნაზი იქნება ალერსი მათი, ვით შეხება ანგელოსის ციურ ნამით დაპკურებულ ფრთებისა.

— ჰოი, ქალებო! თვალნი თქვენი რომ ბრწყინავს, ვით ვარსკვლავი, ღიმილი თქვენი რომ მიაგავს ღიმილსა მთის ყვავილისასა, ალსავსენო ეშხითა, სინაზითა და სიმშვენიერით! ჰოი, ქალებო! ამოირჩიეთ პერანგები დილის ნისლში გახვეულ ცის ნამით განბანილ ზამბახის ფერისა!...

ჭაბუკს ჯერ სიტყვა არ დაეთავებინა, რომ ყველა მხრიდან დაესიენ დედაკაცები და გაფრთხილებით შესთხოვდენ:

მოგვეცი ჩვენ:

— ოქროს ფერი
— ვარდის ფერი
— ოქროს ფერი
— ვარდის ფერი
— ოქროს ფერი
— ვარდის ფერი
— ვარდის ფერი
— ოქროს ფერი.

ჭაბუკი ვერ ასწრობდა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, თუმცა პერანგების დარიგებაში მუსიკოსნიც ეხმარებოდენ. იყო ერთი ზედახორა, და ვაი უშველებელი. ქალები პერანგებს ერთმანეთს ხელიდან გლეჯდენ და საწყალი ჭაბუკი კინაღამ არ გასრისეს. პერანგების დარიგებამ შუაღამემდე გასტანა, მოვაჭრე-ქალები, კურტიზანკები, თავადის ქალები, მონოზნები და მოსწავლე-ქალიშვილებიც კი მხოლოდ მაშინ წავიდ-წამოვიდენ, როდესაც სკივრები დაცარიელდენ.

სამივენი? არა! მხოლოდ ორი. მესამე სკივრი, რომელშიც ინახებოდა პატიოსანი თეთრი პერანგები,—არც კი გაუხსნიათ!

(დასასრული ხვალ.)

## პროვინციის ცხოვრება.

**დ. ჩხარი.** არასოდეს არ ყოფილა ავადმყოფობა იმდენად გავრცელებული ჩხარის რაიონში, როგორც ეს დღესაა. ავადმყოფობამ აგერ-აგერ თავისი სიმკაცრით უმაღლეს წერტილს მიაღწია და, ჩვენდა საუბედუროდ, არავითარი ყურადღება არ ექცევა, ვისგანაც ჯერ არს. ერთის სიტყვით, ჩხარი ამ ჟამად საოცრად მოკლებულია ექიმობას. ადგილობრივი საავადმყოფოს ექიმი ბ. ქაჯაია აგერ შვიდ თვეზე მეტია ლეჩხუმში გაიწვიეს დროებით და ჩვენ კი დაგვაგდეს მარტო განგების ამარა. საკვირველია ღმერთმანი! ერთი ექიმი გააჩნდა ამხელა დაბას ისიც სხვაგან გადაჰკარგეს?! თუ კი ლეჩხუმლებს ჰირდება ექიმები, ჩვენ აქეთ ხალხი არა ვართ თუ? ჩვენ იმის წინააღმდეგი არა ვართ, ლეჩხუმლებს თუ რათ გაუგზავნის ექიმები, მაგრამ ამავე დროს ჩვენც მიგვხედონ.

დროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს, სანამ ავადმყოფობა უფრო სერიოზულ ხასიათს მიიღებდეს, თორემ მერე გვიანღა იქნება. ყველაზე უფრო ჩვენ ეს გვაკვირებს, საავადმყოფო რათ დააგდეს ასე უპატრონოთ; დღეს შიგ აღარც წამალი იშოვება, აღარც ექიმი ერთი ფერშლის მეტის უფროსი ფერშალი უკვე ბრძოლის ველზეა თავიდგანვე გაწვეული) და, ერთის სიტყვით, ხალხი ჩვეულებრივ დახმარებას იქიდანვე მოკლებულია წამლების უქონლობის გამო.

როგორც ამ უკანასკნელად ფამოირკვა, ექიმი ბ. ქაჯაია ამ დღეებში დაბრუნდება უკანვე დ. ჩხარში თავის ადგილზე. სასურველია ძალიან, რაც შეიძლება, მალე გაჩნდებოდეს იგი აქა და მიეშველებოდეს უმწეოდ დარჩენილს დაბას.

დ. ჩხარში დღემდის 4-5 წარმოდგენა გაიმართა სხვა და სხვა საქველმოქმედო მიზნით. სალიტერატურო დილა-საღამოებს და წარმოდგენებს ხალხი ყოველთვის ბლომად ესწრებოდა და თან დიდი ხალისითაც ეტანებოდა თითოეული მათგანი, რადგან მოსწონდათ, მათი ფრიად სიმპატიური დანიშნულება.

ამ უკანასკნელ რიცხვებში ჩხარის რაიონში ბევრი შანტაჟისტი დააპატიმრეს თუ შორაპნის მაზრის უფროსისა და თუ ადგილობრივი ბოქაულის თაოსნობით. უნდა ვსთქვა სიმართლე, ჩხარის ბოქაული ბ. ასლან-ბეგი ბიბნატოვი დიდს ენერგიულს ზომებს ხმარობს ამ გახრწნილ ელემენტის წინააღმდეგ და კიდეც მიაღწია მიზანს; თითქმის ცხრამეტის დატყვევა ჯერ, რომლებიც უკვე გამოტყდნენ თავიანთ დანაშაულში, სად ან ვის დაეცნენ და ან რამდენი წაიღეს, ყველაფერი აღიარეს. მათივე ჩვენებით, არიან კიდევ ექვსამდის დასაჭერი რომლებსაც დასდევენ დასაჭერად, მაგრამ ჯერ კიდევ კვალს ვერ მიაგნეს.

**ი. ძეროულისპირელი.**

## ჩემი პასუხი.

### ხონელ მასწავლებელს.

ხონელი მასწავლებლის მიმართ ჩემს პასუხს (სამშობლო №-164) განმარტებას ვუკეთებდი, რადგან არ ვიყავ კმაყოფილი რედაქციის მიერ ჩემი წერილის შემოკლებით. განმარტება ცოტა არ იყოს ცხარე კილოთი მქონდა დაწერილი, ხონელმასწავლებელს[?] ვიხსენიებდი მაღალ პიროვნებათ; ამაზე ბ-ნმა ია ეკბლაძემ მითხრა: თქვენ რომ გგონიათ ისე სულ არ არის საქმე, ხონელი მასწავლებელი, როგორც ამაში თითონვე დამარწმუნა საუკეთესო მეგობარია თქვენი. ხონელმა მასწავლებელმა მითხრა, რომ მას ეჭვიც არ ეპარება თქვენს კეთილ-სინდისიერებაში, ხოლო რადგან ორიოდე პირს გონებია ვარლამმა ქუთაისამდე აქეთ იქით გავლაში თუთხმეტი თუმანი აიღოო, და ეს კი არა თუ ისე, თვით კორესპოდენტის აზრითაც სიმართლეს არ შეესაბამება,—შეგეკითხათ; თქვენი პასუხი ხონელ მასწავლებლის აზრით გაფანტავს ამ უნიადაგო ხმას და თქვენ ისევე წმინდათა და უჩირქოთ დარჩებით, როგორადაც თვით კორესპოდენტს ყავხართ წარმოდგენილი, რომელმაც არა ერთხელ მითხრა: ვარლამი კარგი ყმაწვილია, ეჭვიც არ მეპარება მის კეთილ-სინდისიერობაშიო!..

ზემორე მოყვანილს დარწმუნებული ვარ არც ბატონი იაუარყოფს და ისინიც დაამოწმებენ, ვინც მაშინ ჩვენთან იდგა. მაშასადამე მქონდა საბუთი მეფიქრნა, რომ საქმე მაქვს არა ჯიუტთან, არა უტიფართან, რომელიც სიტყვას გადაგიბრუნ-გადმოგიბრუნებს, არა მდაბალთან და მყრალთან, რომელსაც შენი გალანძღვის მეტი არა სწადიან რა, არამედ ისეთ ადამიანთან, რომლისთვინაც საკმარისია სიმართლე მოისმინოს და სიამოვნებით დაკმაყოფილდეს... ნამდვილად კი ჩემი მოპირდაპირის პასუხმა (სამშობლო № 178 10) დამარწმუნა, რომ საქმე მაქვს არა მეგობართან. მას ბაბილონის გოდოლი აუშენებია იმის გამო, რომ კორექტიული შეცდომა (69 მ. 58 კ. ნაცვლათ 79 მ. 68 კ.) ორჯერ განმეორდა და რაღაც მდაბალ ეხიდნური ღიმილით მეკითხება გამოკლება თუ არ იცი ჯიბაში რომ თუმანი ზედმეტი ჩაგრჩა იმით მაინც ვერ მიხვდიო... აქ საქმე მაქვს არა კეთილ სინიდისიერ საქციელთანო (ხაზი მისია) და სხვადასხვა ამგვარი მარგალიტები...

არა მსურს რა განმეორება იმ უტიფრობისა, რომელსაც დაუმსახურებლათ თავს მახვევს ეს უპადრუკი კორესპონდენტი, ვიწვევ მას სამედიატორო სასამართლოში, დამიმტკიცოს, რომ 1) ჩემი საქციელი არა კეთილ სინდისიერია (სამშობ. 178). 2) რომ მე ხარჯების დასაფარავათ ავ'ღე 150 მ. 3) რომმე არა თუ მონაწილეობა მიმეღოს სიის შედგენაში, არამედ მცოდნოდეს მისი არსებობა, სანამ დამტკიცებული არ მომაჩეჩეს ხელში და არ მიბრძანეს: აი ფული, და მაგ სიის მიხედვით დაარიგე, შეცვლა შეუძლებელიო) თუ გამტყუნდეს, ხონელი მასწავლებელი ჩემი სოფლის (მათხოჯის) უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს სასარგებლოთ გადიხადოს ასი მანეთი (100 მ.) ჯარიმა, თუ მე გავმტყუნდები მე გადვიხდი ას მანეთს (100 მ.) იმ კულტურულ დაწესებულების სასარგებლოთ, რომელსაც თითონ დამისახელებს. მედიატორებს ჩემი, მოპირდაპირის შემდეგ დავასახელებ. განაჩენი გაზეთებში უნდა გამოცხადდეს. მოსამართლეების დასახელების ვადა დღიდან ამ წერილის, დასტამბვისა ჩემს მოპირდაპირეს ეძლევა ერთი კვირა.

**მასწ. ვარლამ დავითის ძე მიძიგური.**

## ხმა წვანეყვავილიდან.

წვანე ყვავილა, კულტურულათ ძალიან ჩამორჩენილია ქუთაისის სხვა დანარჩენ ნაწილებთან, შედარებით. აქ არსებობს ერთი პირველ დაწყებითი ორ კლასიანი სამრევლო სასწავლებელი, რომლის დასრულების შემდეგაც, მოსწავლეთა უმრავლესი რიცხვი უნუგეშოთ ღვთის ანაბრათ რჩება, რადგან თავიანთი სიღარიბისა გამო სხვა რომელიმე დაბალ ან საშუალო სასწავლებელში სწავლის განგრძობა არ შეუძლიათ. ამისათვის ზედმეტ ხარჯათ არ ჩაითვლება, რომ აქაც იყოს ერთი წიგნ-საცავ-სამკითხველო, რომელიც ამ სასწავლებელთან ერთად დიდ სამსახურს გაუწევს ხალხს და კულტურულათაც წინ წასწევს მათ. ამ გვარ კულტურულ დაწესებულებაზე დღემდის ხმა არავის ამოუღია, თუმცა სურვილი ამისი კი ყველას ქონდა. ამ კუთხეში არის ერთი ჯგუფი მოსწავლე ახალგაზრდებისა, რომელიც შესდგება რამოდენიმე მოწაფისაგან. ამ ბოლო დროს, გაეცვნენ რა ხალხის ჭირ-ვარამს და იგრძნეს მათი კულტურული დაქვეითება, მოინდომეს მიაწოდონ გონებრივი საზრდო ხალხს და განსაკუთრებით კი იმ მოზარდ თაობას, რომლებიც სწავლობენ ან უსწავლოთ ზემოთ აღნიშნულ სასწავლებელში. ამისათვის აუცილებელ საჭიროებათ ცვნეს წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსება, ადგილობრივი ინტელიგენციის დახმარებით. ეს ჯგუფი უკვე შეუდგა ამ კეთილი საქმის განხორციელებას. ორშაბათს, 3 აგვისტოს, თავი მოიყარეს და ერთ ხმათ აირჩიეს საქმის სათავეში ე. ი. სამკითხველოს მთავარ გამგეთ, აქვე მცხოვრები პატივცემული პირი, სასამართლოს მსაჯული ბატონი ფილიპე მგალობლიშვილი, რომელიც დიდის აღტაცებით შეხვდა ამ საკითხს და გამგეობაც იკისრა. მან აღუთქვა მოწაფეებს ქართველ. შორ. წერა-კითხვ. გამ. საზოგადოებასთან შუამდგომლობის აღძვრა და სხვა დახმარებაც. სწორეთ მადლობის ღირსია ეს პატივცემული პირი, რომელიც არა მარტო ამ საქმეში, არამედ სხვა ყოველ-გვარ კეთილ საქმეში წინ უძღვის აქიურ მცხოვრებლებს.

ვიმედობთ, რომ ამ დაწყებულ საქმის დასრულების შემდეგ, არც ქალაქის თვითმართველობა დაგვტოვებს უყურადღებოთ და დაგვიხსნის იმ გაჭირვებიდან, რომელსაც განიცდით მცხოვრებლები გზის უვარგისობით.

**წვანე ყვავილელი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად [illegible] თის მახლობელ № [illegible] შემდეგი დია წერილი.

### ღია ბარათი.

ბ. ბ. ექვთიმე ბერძენიშვილის და კოტე აბდუშელიშვილის მიმართ,

მოწყალეო ხელმწიფენო!

თქვენ მარწმუნებდით, რომ ჩვენს საზიარო ქვითკირის სახლს, ინგლისის ფირმის წარმომადგენლის კიტელის სეულს, დადგმულს ჩემს მამულ „კოდის წყაროში", ს. ს. დარკვეთის და ზოდის საზღვარში, ვითომც გვემუქრებოდა შავიქვის წაბჭო, რომელ სახლშიაც უნდა მოთავსებულიყოს დარკვეთის მომავალი სამრეწველო შკოლა, და რომ საბჭო შეიძენდა ამ სახლს იმ შემთხვევაში, თუ შკოლის ფარგალში შემავალი ხალხი მისცემდა ადგილს უფასოთ. მითქვამს და კვლავაც ვიმეორებ: უკეთუ საბჭო ამ სახლის შეძენას ისურვებს და მიზან მისაწდომიც იქნება მზათა ვარ სახლის გარშემო დაუთმო ხალხს ერთი ქცევა ადგილი, უსასყიდლოთ, იმ გზის განმავლობაში, ვიდრე იქ შკოლა იარსებებს, შემდეგ კი ადგილი ჩემივე იქნება; ხოლო, თუ რომ შკოლა ზედ მეტ ადგილს მოითხოვს, ეს შემიძლია დაუთმო იჯარის ქვეშ. ამ საგანზე მე და თქვენ შორის მიწერ-მოწერა ბოლოვდება მით, რომ თქვენ დაჟინებით მოითხოვდით, მე სახლისათვის მიმეხინა დარაჯი. ვიმეორებ მასვე, რომ დარაჯის დაყენებაზე ყოველს საშუალებას მოკლებული ვარ, რადგან იმ სახლზე თითქმის სამი ვერსტის მანძილზე მოშორებით ვდგავარ ხოლო კაცის დაქირავება კი დაჯდება თვეში არა ნაკლებ ოცი მანეთისა, შემოსავალი კი არაფერი არ არის. ამ ერთხელ კიდევ, ზრესის საშუალებით, მოვითხოვ გადაჭრით და დასაბუთებით მიპასუხოთ: მოისურვებს თუ არა საბჭო იმ სახლის შეძენას, ჩემ მიერ უსასყიდლოთ, დროებით, ადგილის დათმობით? დღიდამ ამ წერილის გაზეთში აღნიშვნისა ველოდები გადაჭრილ პასუხს ორი კვირის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული გავხდები სახლი სულ დავანგრიო, რისთვისაც ვიტოვებ დამოუკიდებელ უფლებას, რადგან სახლი ავაზაკურ ხელთაგან ერთიან გატიალდა, კარ ფანჯრები მას აღარ აქვს, ივან-ფარდულები და სახურავი, საკმაოთ დაზიანებულია ჭერი და იატაკიც. ამრიგად დღევანდელი მისი მდგომარეობა წარმოდგენს მხოლოდ ნანგრევს, რა საეჭვოა, რომ შემდეგში პარტახათ ქცევა მოელის დავშთები.

ზ. ც.—ით **სვიმონ ბარათაშვილი.**

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**


**მასწავლებელი** ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლნოოპრედელიუშჩის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მასწავლებლის ხარისხისთვის; სამიწათმზომელდა ტეხნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურათ მეცადინეობს **არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში.** ადრესი: აბრაშის ქ. ბალახვანის ქუჩიდან სახაზინო პალატის ახლოს, სახლი სამხარაძისა, ნახვა დილას 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, 5—6 საათამდის. 12—10

**დაიბეჭდა** ა. გარსევანიშვილის წიგნაკი **მაია—მათე ყაჩაღათ წოდებული.**
**იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.**

**გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიაში**
**მთავრიშვილის** წიგნის მაღაზიის გამოცემა ქართული ქრისტომატია:
**„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია",**
შედგენილი ს. რ. **გორგაძის** მიერ. ფასი 6 აბაზი.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

**დიდი იაფი ვაჭრობა**
**ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.**
**რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.**
პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.
თვ.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**
**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**
**ქართული და რუსული** სახელმძღვანელო **წიგნები,**
გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**
თვ.